



„მეუ“-ს მხარდამჭერებმა უკრაინაში ვინიცის ოლქში კანონიკური ეკლესიის ტაძარი მიიტაცეს



2021 წლის 3 სექტემბერს, სქიზმატური სტრუქტურის „მეუ“-ს მხარდამჭერებმა უკრაინაში ვინიცის ოლქის სოფელ კრასნოსელკაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის რეიდერული მიტაცება განახორციელეს. ამის შესახებ იუწყება უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილება ტულჩინის ეპარქიის პრეს-სამსახურზე დაყრდნობით.

როგორც ტულჩინის ეპარქიის ბერშადის საეკლესიო ოლქის კეთილმონესე, დეკანოზი ოლეგ მურახოვსკი ყვება, დილის 10 საათზე მას სოფლის მცხოვრებლებმა დაურეკეს და უთხრეს, რომ პოლიციის მიერ ადრე დალუქულ იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის ტერიტორიაზე სქიზმატების წარმომადგენლები „მეუ“-ს მღვდლების“ როსტისლავ პროცანინისა და სერგი იარკოს მეთაურობით ეკლესიასთან არსებულ სახლის კარს ამტვრევდნენ, სადაც კანონიკური ეკლესიის სამრევლო დროებით ღვთისმსახურებებს ატარებდა. ამ დროს ტაძართან უკვე პოლიციის ორი ავტომობილი იდგა, თითქოს „მართლწესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად“.

„მეუ“-ს მომხრეები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სოფლის სამრევლოს მღვდელს ანდრია კოზიუკს აიძულებდნენ, ეკლესიის სახლში შესულიყო, რომელშიც თავდამსხმელებმა ფანჯარა და კარი ჩაამტვრიეს, რომ თავისი ნივთები წაეღო, „იმითგომ, რომ ხვალ ისინი იქ აღარ დახვდება“.

კეთილმოწესემ ამის შესახებ საგანგებო სამსახურს შეატყობინა, მაგრამ საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი ადგილზე დიდი დაგვიანებით მივიდა, და მხოლოდ შსს-ს ცხელ ხაზზე დარეკვის შემდეგ პოლიციამ დაიწყო განცხადებებისა და განმარტებების შეგროვება, მაგრამ ამ დროისთვის ტაძრის მიტაცების ორგანიზტორი როსტისლავ პროცანინი უკვე ნასული იყო.

4 სექტემბერს „მეუ“-ს წარმომადგენლებმა მიტაცებულ ტაძარში „სამადლობელი პარაკლისი“ გადაიხადეს.

სოფ. კრასნოსელკის იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მიტაცებას „მეუ“-ს მომხრეები 2019 წლიდან ცდილობდნენ, მას შემდეგ სოფლის მოსახლეობამ უკანონო კრება ჩაატარა ტაძრის გადაქვემდებარების შესახებ „მეუ“-ს სასარგებლოდ. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლო სასამართლო წესით იცავდა თავის უფლებას ტაძარზე და ეკლესიის ქვემდებარე სახლზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ტაძარში მსახურება არ სრულდებოდა – დალუქული იყო პოლიციის მიერ. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კანონიკური ეკლესიის მღვდლის ოჯახის გამოსახლებას ცდილობენ ეკლესიის ქვემდებარე სახლიდან.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87980/>